ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება 01.12.2025

1918 წელს, ქართული საზოგადოების მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად, დაფუძნდა ამიერკავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი - მრავალდარგოვანი საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი, დღევანდელი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). თსუ არ წარმოადგენს მხოლოდ მისი სტუდენტებისა და თანამშრომლების საკუთრებას, ის არის მთელი ქართველი ერის უნივერსიტეტი, ეროვნული თვითმყოფადობის სიმბოლო და ჩვენი ისტორიის განუყოფელი ნაწილი. მისი მთლიანობის დარღვევა იქნება გამოუსწორებელი შეცდომა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმოადგენს იმ საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო ფაკულტეტის სამართალმემკვიდრეს, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე - 1918 წელს დაფუძნდა. თსუ-ს, როგორც კვლევითი უნივერსიტეტის, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მიღწეულ წარმატებებში აღნიშნულ ფაკულტეტს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს - უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ საერთაშორისო დონეზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების აღიარებისა და ციტირებების 90%-ზე მეტი სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიისა და კომპიუტერული მეცნიერებების ნაშრომებზე მოდის.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, დღეისთვის მოქმედ 40 საგანმანათლებლო პროგრამას შორის, სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო ABET აკრედიტირებულ საბაკალავრო პროგრამებს ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში და კომპიუტერულ მეცნიერებაში (ქართულ და ინგლისურ ენებზე), ACS სერტიფიცირებულ საბაკალავრო პროგრამას ქიმიაში (ინგლისურ ენაზე), ორმაგის ხარისხის კომპიუტერული მეცნიერების ქართულ-ფრანგულ საბაკალავრო პროგრამას (პარტნიორი ევრის უნივერსიტეტი, საფრანგეთი), ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამას ფიზიკაში (პარტნიორი ლ'აკვილას უნივერსიტეტი, იტალია). ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით მოღვაწეობენ მსოფლიოს წამყვან აკადემიურ და სამეცნიერო ცენტრებში.

ფაკულტეტის საბჭო, როგორც პასუხისმგებელი ორგანო ფაკულტეტზე თსუ-ის აკადემიური ტრადიციების შენარჩუნებასა და განახლება/განვითარებაზე, აცხადებს შემდეგს: <u>ფაკულტეტის არსობრივი და ინფრასტრუქტურული ერთიანობის დარღვევა მიაყენებს სერიოზულ და გამოუსწორებელ ზიანს არა მხოლოდ თსუ-ს, როგორც ეროვნული მნიშვნელობის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, არამედ ქვეყნის მთელ საზოგადოებას.</u>